

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება N14

30 ივლისი 2014 წ.

ქ. თბილისი

ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს „ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი #1).
2. დამტკიცდეს „ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი #2).
3. დამტკიცდეს „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“ (დანართი #3).
4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 8 ივნისის #8 დადგენილება.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

ირინა მილორავა

კომისიის წევრი

მაია ნადირაძე

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

სერგო მესხი

ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების დადგენის წესისა და პრინციპების განსაზღვრა.
2. ამ მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშებისას გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წამახალისებელი რეგულირების (ზღვრული ფასების რეგულირება) პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის სტიმულირებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით.
2. მეთოდოლოგიაში სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **არამატერიალური აქტივი** – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, მათ შორის, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია და სხვა არამატერიალური აქტივები;
 - ბ) **არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (ncOPEX)** – საწარმოს დანახარჯები, რომლებიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომლებზეც საწარმო გავლენას ვერ ახდენს;
 - გ) **აქტივი** – მატერიალური და არამატერიალური აქტივი;
 - დ) **აქტივის აღდგენითი ღირებულება** - დანახარჯების ჯამური თანხა, რომელიც საჭირო იქნება შესაფასებელი აქტივის ანალოგიური აქტივის შესაქმნელად;

- ე) აქტივის თვითღირებულება – აქტივის შექმნის ან საწყისი შემენის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულების თანხა;
- ვ) აქტივის ისტორიული ღირებულებით შეფასების მეთოდი – აქტივის ღირებულების შეფასება მისი შექმნის ან საწყისი შემენის ფასით;
- ზ) გონივრული ხარჯები – საწარმოს მიერ მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, რომელიც რაციონალურია და აუცილებელია საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;
- თ) დანახარჯების აუდიტი – რეგულირების მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც კომისიის ან/და ნეიტრალური მესამე მხარის მიერ დგინდება საწარმოს მიერ გაწეული დასაბუთებული დანახარჯები და განისაზღვრება რეგულირებადი აქტივების ბაზა;
- ი) დანახარჯების კასკადირების მეთოდი – ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ზედა ძაბვის საფეხურს მიკუთვნებული ხარჯის ნაწილის ასახვა მომდევნო ძაბვის საფეხურს მიკუთვნებულ ხარჯებში;
- კ) ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი – განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის განაწილებაზე გაწეული მომსახურების ფასი;
- ლ) ელექტროენერგიის გატარების ტარიფი – განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით სხვისი კუთვნილი ელექტროენერგიის გატარებაზე გაწეული მომსახურების ფასი;
- მ) ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი – საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ფასი;
- ნ) ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგი – ელექტროენერგიის დასაშვები ტექნოლოგიური ხარჯი, რომელიც წარმოიშობა ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისას;
- ო) ელექტროენერგიის ზენორმატიული დანაკარგი – დადებითი სხვაობა შესაბამის ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში არსებულ ფაქტობრივ დანაკარგსა და კომისიის მიერ დადგენილ ელექტროენერგიის ნორმატიულ დანაკარგს შორის;
- პ) ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგი – შესაბამის გამანაწილებელ ქსელში მიღებულ და გაცემულ ელექტროენერგიას შორის სხვაობა, რომელიც გამოითვლება აღრიცხვის ხელსაწყოს ჩვენებების მიხედვით;
- ჟ) ეფექტიანობის ფაქტორი (X – ფაქტორი) – საწარმოს პროდუქტიულობისა და საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი, რომელიც მოიცავს ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორს ($X_{ზოგ}$) და ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორს ($X_{ინდ}$);
- რ) ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ზოგ}$) – კონკრეტული სექტორის ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი;
- ს) ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ინდ}$) – კონკრეტული საწარმოს ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი;

ტ) ინვესტიცია - იმ აქტივების შექმნის, შეძენის ან/და რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდება, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება ერთ წელს;

უ) კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა, რომელიც იანგარიშება გადასახადებამდე, კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული) სტრუქტურის მიხედვით;

ფ) კაპიტალური დანახარჯები (CAPEX) – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის ამონაგები რეგულირებადი აქტივების ბაზაზე და ცვეთა/ამორტიზაცია;

ქ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (COPEX) – საწარმოს დანახარჯები, რომლებიც გამოწვეულია შიდა ფაქტორებით და რომლებზეც საწარმოს შეუძლია გავლენის მოხდენა;

ღ) მატერიალური აქტივი – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მიწა, შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება ერთ წელს;

ყ) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), რომელიც საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს, იხდის ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურს ან/და საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს;

შ) რეგულირებადი საქმიანობა – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის ელექტროენერგიის განაწილებისა და გატარების საქმიანობა, რომელიც რეგულირდება კომისიის მიერ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად;

ჩ) რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB) – კომისიის მიერ სატარიფო წლისთვის საწარმოსთვის ნებადართული შემოსავალი, რომელიც საჭიროა საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებს და მიზანშეწონილ მოგებას;

ც) რეგულირებადი აქტივების ბაზა (RAB) – საწარმოს რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები (გარდა მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივებისა), რომლებიც უშუალო კავშირშია შესაბამის რეგულირებად საქმიანობასთან და მონაწილეობს ტარიფის გაანგარიშებაში;

ძ) „სამშენებლო ბლოკების“ მეთოდი – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრა მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით;

წ) საბაზისო წელი – სატარიფო რეგულირების პერიოდის პირველი სატესტო წელი;

ჭ) სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) – სსიპ “საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის” მიერ გამოქვეყნებული საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი;

ხ) საოპერაციო დანახარჯები – ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელის ექსპლუატაციასა და მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯები;

ჯ) **სატარიფო განაცხადი** – კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმები, რომლებშიც ასახულია საწარმოს სატესტო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები, ასევე რეგულირების პერიოდში განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმა;

ჰ) **სატარიფო რეგულირების პერიოდი** – კომისიის მიერ დადგენილი პერიოდი (3-დან 5 წლამდე), რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ტარიფის გადახედვა ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების ფაქტორების მიხედვით;

ჰ¹) **სატარიფო წელი ($t+1$)** – სატარიფო რეგულირების პერიოდის კალენდარული წელი, რომლისთვისაც კომისია ადგენს ტარიფს ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ჰ²) **სატესტო წელი ($t-1$)** – კომისიის მიერ ტარიფის გაანგარიშების წლის წინა კალენდარული წელი;

ჰ³) **საწარმო** – განაწილების ლიცენზიატი, რომელსაც ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდება ელექტროენერგიის განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფი;

ჰ⁴) **ტარიფის გაანგარიშების წელი (t)** – სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი;

ჰ⁵) **ცვეთა/ამორტიზაცია** – მატერიალური/არამატერიალური აქტივების ცვეთადი ღირებულების თანდათანობით გადატანა მისი სასარგებლო მომსახურების ვადაზე;

ჰ⁶) **წმინდა საბალანსო ღირებულება** – აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ტარიფები:

ა) იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;

ბ) სტიმულს აძლევს საწარმოს, გაზარდოს ეფექტიანობა საკუთარი ხარჯების ოპტიმიზაციის საფუძველზე იმ პირობით, რომ არ მოხდეს საწარმოს მომსახურების ხარისხისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება;

გ) ხელს უწყობს საწარმოს ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის გზით;

დ) ხელს უწყობს საწარმოს სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას;

ე) უზრუნველყოფს საწარმოსათვის გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას;

ვ) ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკას სატარიფო შეღავათების სფეროში იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება ლიცენზიატის, იმპორტიორის, ბაზრის ოპერატორის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე;

ზ) ასახავს მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მომსახურების განსხვავებულ ღირებულებას;

თ) ფარავს საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისაგან მიღებული თანხებით, ამ კატეგორიის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

2. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრისას გამოიყენება „სამშენებლო ბლოკების“ მიდგომის მეთოდი. ამ მეთოდით განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) კაპიტალური დანახარჯები;

ბ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;

გ) არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;

დ) დანახარჯები ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების შესავსებად.

3. კაპიტალური დანახარჯებისა და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, აღნიშნული დანახარჯების ყოველწლიური აუდიტით.

4. კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება „წამახალისებელი რეგულირების“ მექანიზმები, რაც გულისხმობს საწარმოსათვის დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გარკვეული სტიმულების დაწესებას. კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების აუდიტი ხორციელდება მხოლოდ სატარიფო რეგულირების პერიოდის დაწყებამდე, ხოლო სატარიფო რეგულირების პერიოდში ხორციელდება ამ დანახარჯების ცვლილება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების აუდიტის შედეგად გამოვლინდა სატესტო წლამდე არსებული გასული წლების მონაცემების მაკორექტირებელი ინფორმაცია, რომლის იდენტიფიცირებაც არ მოხდა წინა სატარიფო წლ(ებ)ის ტარიფების გაანგარიშებისას, კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს სატესტო წლის აუდიტის შედეგების კორექტირებისთვის. კორექტირება განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის IV თავში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

6. ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების შესავსებად დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება ფაქტობრივი დანაკარგების სიდიდისა და სამიზნე მაჩვენებლის შეფასების მოდელი.

7. კომისიის მიერ დადგენილი ყველა ტარიფი გაიანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. სატარიფო რეგულირების და ტარიფების დადგენის პერიოდი

1. ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად სატარიფო რეგულირების პერიოდი კონკრეტული საწარმოსთვის განისაზღვრება ინდივიდუალურად.
2. კომისია ტარიფებს ადგენს სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.
3. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ძირითადი კომპონენტების სიდიდეებისა და ეფექტიანობის (X - ფაქტორი) ფაქტორის ფიქსირებულ განაკვეთებს კომისია ადგენს სატარიფო რეგულირების მთელი პერიოდისათვის;
4. სატარიფო რეგულირების პერიოდში კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თავი II. რეგულირებადი დანახარჯების გაანგარიშება

მუხლი 5. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის

რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{(t+1)} = CAPEX_{(t+1)} + cOPEX_{(t+1)} + ncOPEX_{(t+1)} + CNL_{(t+1)} + CORR_{(t+1)} \quad (1),$$

სადაც:

$RCB_{(t+1)}$ – საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cOPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$ncOPEX_{(t+1)}$ – საწარმოს არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CNL_{(t+1)}$ – ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში კორექტირებას დაქვემდებარებული

სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ დანახარჯებს შორის სხვაობის, აგრეთვე ამ მეთოდოლოგიის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის, ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპებით ასახვას (ლარი).

მუხლი 6. კაპიტალური დანახარჯები

სატარიფო წლისთვის კაპიტალური დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAPEX_{(t+1)} = RAB_{(t+1)} \times WACC + D_{(t+1)} \quad (2),$$

სადაც:

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$RAB_{(t+1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$WACC$ – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (%);

$D_{(t+1)}$ – წლიური ცვეთა სატარიფო წლისთვის (ლარი).

მუხლი 7. რეგულირებადი აქტივების ბაზა

1. რეგულირებადი აქტივების ბაზის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც საწარმოს არსებული (მოქმედი) აქტივები, ასევე კომისიასთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული (დაგეგმილი) აქტივები.
2. აქტივის ღირებულება განისაზღვრება ისტორიული ღირებულების შეფასების მეთოდით.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდი.
4. საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში კომისია შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინებს აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას.

5. კომისიასთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული აქტივების დაგეგმილი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება მათი საინვესტიციო ღირებულება (მშენებლობა, შეძენა, კაპიტალური რემონტი და ა.შ.).
6. საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება განისაზღვრება ამ ბაზაში ჩართული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებით.
7. კომისია საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახავს ტარიფის გაანგარიშების წელს და სატარიფო წელს დაგეგმილ ინვესტიციებს საინვესტიციო გეგმის შესაბამისად. საწარმოს საინვესტიციო გეგმა, აგრეთვე მასში განსახორციელებელი ცვლილებები ტარიფის დადგენამდე ან კორექტირებამდე, წინასწარ უნდა შეთანხმდეს კომისიასთან. საწარმო ვალდებულია დაასაბუთოს განსახორციელებელი ინვესტიციების აუცილებლობა, აგრეთვე ამ ინვესტიციის განხორციელების შედეგად მისაღები ეფექტი (სამიზნე მაჩვენებელი) და სარგებელი. კომისია შეითანხმებს და, შესაბამისად, რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახავს მხოლოდ იმ დაგეგმილ ინვესტიციებს, რომლებსაც განხილვისა და შესწავლის შედეგად ჩათვლის მიზანშეწონილად და გონივრულად.
8. თუ საწარმოს მიერ დაგეგმილი ინვესტიციები (კონკრეტული საინვესტიციო პროექტი) არ განხორციელდა კომისიასთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის პირობებით (არ დასრულდა საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული წლის ბოლომდე), ასეთი ინვესტიციები განიხილება, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და აღნიშნულ ინვესტიციაზე საწარმოს მიერ მიღებული კაპიტალური დანახარჯები ექვემდებარება კორექტირებას წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.
9. თუ საწარმო კომისიას არ წარუდგენს საინვესტიციო გეგმას და არ შეუთანხმებს განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობას, კომისია უფლებამოსილია ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინოს საწარმოს მიერ შესაბამის პერიოდში ფაქტობრივად განხორციელებული შეუთანხმებელი ინვესტიცია.
10. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო განხორციელებული ინვესტიციების შედეგად ვერ მიაღწევს დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებელს, მათ შორის კომისიის მიერ დადგენილ მომსახურების სტანდარტებს, კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების მექანიზმები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მიაღწევს დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებელზე უკეთეს მაჩვენებლებს, შესაბამისად - წახალისების მექანიზმები.
11. რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ მონაწილეობს:
- ა) ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება მესამე მხარის დაფინანსებით და ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;
 - ბ) ინვესტიცია, რომელსაც კომისია არ მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად;
 - გ) რეგულირებად საქმიანობაში გამოუყენებელი აქტივები;
 - დ) დაუმთავრებელი მშენებლობა;
 - ე) გუდვილი, გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოქმნილი გუდვილისა.

12. კომისია ამ მუხლის მე-11 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული აქტივის თვითღირებულებაში გაითვალისწინებს მშენებლობის პროცესში საწარმოს მიერ მშენებლობის დაფინანსებისათვის აღებული გრძელვადიანი სესხის ფაქტობრივი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით გადახდილი სესხის პროცენტის კაპიტალიზირებულ ღირებულებას, მაგრამ არა უმეტეს ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული სესხის ღირებულების (I_d) განაკვეთისა.

13. სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის კომისია უფლებამოსილია აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინოს აქტივის გაუფასურება. ამასთან, კომისია უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში ტარიფში ასახოს აქტივის გაუფასურების ზარალი. საწარმოს მიერ გაუფასურების ზარალის აღრიცხვა უნდა მოხდეს განცალკევებულად.

14. რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის ბოლოს იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RAB_{(t+1)} = TA_{(t-1)} + IA_{(t-1)} - TP_{(t-1)} - RA_{(t-1,t,t+1)} + pINV_{(t,t+1)} - pD_{(t,t+1)} - pTP_{(t,t+1)} + pDTP_{(t,t+1)} \quad (3),$$

სადაც:

$RAB_{(t+1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის ბოლოს (ლარი);

$TA_{(t-1)}$ – მატერიალური აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$IA_{(t-1)}$ – არამატერიალური აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$TP_{(t-1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების ღირებულება სატესტო წლის ბოლოს (ლარი);

$RA_{(t-1,t,t+1)}$ – სატესტო წელს ექსპლუატაციიდან გასული და ტარიფის გაანგარიშების და სატარიფო წლის საინვესტიციო გეგმის ფარგლებში ექსპლუატაციიდან გასასვლელი აქტივების ღირებულება და გაუფასურების ზარალის ღირებულება სატესტო წლისთვის (ლარი);

$pINV_{(t,t+1)}$ – კომისიასთან შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული (დაგეგმილი) აქტივების ღირებულება გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი);

$pD_{(t,t+1)}$ – წლიური ცვეთა/ამორტიზაცია ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის, რომელიც ერიცხება არსებულ და დაგეგმილ მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს (ლარი);

$pTP_{(t,t+1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების ღირებულება ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი);

$pDTP_{(t,t+1)}$ – მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილ აქტივებზე დარიცხული წლიური ცვეთა/ამორტიზაცია ტარიფის გაანგარიშების წლისა და სატარიფო წლისთვის (ლარი).

მუხლი 8. ცვეთა/ამორტიზაცია

1. კომისია ცვეთა/ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრისთვის იყენებს წრფივი დარიცხვის მეთოდს.
2. 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება კომისიის მიერ დამტკიცებული "სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები".
3. 2014 წლის 1 იანვრამდე შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან მიმართებაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.

მუხლი 9. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება

1. რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მეთოდით.
2. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) უცვლელია რეგულირების პერიოდის განმავლობაში.
3. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) გადასახადებამდე, ყოველი რეგულირების პერიოდისათვის, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WACC_{\text{გადასახადებამდე}} = g \times r_d + \frac{(1 - g) \times r_e}{(1 - T)} \quad (4),$$

სადაც:

$WACC_{\text{გადასახდებამდე}}$	– კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გადასახდებამდე (%);
g	– სესხის წილი (%);
r_d	– სესხის ღირებულება (%);
r_e	– საკუთარი კაპიტალის ღირებულება (%);
T	– მოგების გადასახადი (%).

4. სესხისა და საკუთარი კაპიტალის ღირებულება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$r_d = r_{rf} + DP \quad (5),$$

$$r_e = r_{rf} + \beta \times (r_m - r_{rf}) \quad (6),$$

სადაც:

r_{rf}	– ურისკო საპროცენტო განაკვეთი (%);
DP	– სესხის პრემია (%);
r_m	– ბაზრის რისკი (%);
β	– სექტორული რისკის კოეფიციენტი.

5. სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში შეადგენს 60 პროცენტს.

6. სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}), ბაზრის რისკის პრემია ($r_m - r_{rf}$), სექტორული რისკის ფაქტორი (β) და სესხის პრემია (DP) ყოველი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის არის ფიქსირებული. კომისია ურისკო საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სახელმწიფო გრძელვადიან საერთაშორისო ობლიგაციებზე ვადის გასვლამდე წლიური შემოსავლის ოდენობით, ხოლო ბაზრის რისკის პრემიას და სესხის პრემიას საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

მუხლი 10. საოპერაციო დანახარჯები

1. ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის საოპერაციო დანახარჯები შედგება ორი ნაწილისაგან - კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისა და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისაგან.

2. საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის:

ა) ექსპლუატაციისა და მომსახურების დანახარჯები;

ბ) ადმინისტრაციული და საერთო დანახარჯები.

3. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი ძირითადი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების, მათ შორის, მიმდინარე რემონტის, შენახვა-ექსპლუატაციისა და სხვა მიმდინარე დანახარჯების ანაზღაურებას.

4. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისათვის აღებული მოკლევადიანი სესხის საპროცენტო ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობას.

5. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება სატესტო წლის ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.

6. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ გააჩნია სატესტო წლის ფაქტობრივი მონაცემები, კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს საწარმოს სატარიფო განაცხადით განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური საპროგნოზო მონაცემები სატარიფო წლისთვის. კომისია უფლებამოსილია ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინოს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

7. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას კომისია ეყრდნობა საწარმოს სატესტო წლის (კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისათვის - საბაზისო წლის) აუდირებულ ფაქტობრივ ფინანსურ მონაცემებს და ტექნიკური სახის ინფორმაციას, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ.

8. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე და შეაფასოს წარმოდგენილი დანახარჯების გონივრულობა და შესაბამისობა. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია სატესტო წლის საოპერაციო დანახარჯების შეფასება განახორციელოს საწარმოს წინა წლების საოპერაციო დანახარჯების ანალიზის საფუძველზე.

9. თუ საწარმო ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ რეგულირებად საქმიანობასთან ერთად ეწევა ამ რეგულირებადი საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საქმიანობას, მაშინ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები არ იქნება გათვალისწინებული ტარიფის გაანგარიშებისას.

მუხლი 11. კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები

1. კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებში გაითვალისწინება ყველა ის დანახარჯი, რომლებზეც საწარმოს აქვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება და, შესაბამისად, შეუძლია მათზე ზეგავლენის მოხდენა (ხელფასები, მიმდინარე რემონტი, გარეშე ორგანიზაციების მომსახურება, საოფისე ხარჯები, დაზღვევა, დაცვა, მივლინება და სხვა).

2. საწარმოსათვის სატარიფო რეგულირების პერიოდის კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ბაზად აიღება საბაზისო წლის აუდირებული კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები, ხოლო სატარიფო რეგულირების პერიოდის ყოველი სატარიფო წლისათვის აუდირებული კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები იცვლება მხოლოდ სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ეფექტიანობის ფაქტორის გამოყენებით და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{(t+1)} = cOPEX_{(t-1)} \times (1 + CPI_t - X_t) \times (1 + CPI_{(t+1)} - X_{(t+1)}) \quad (7),$$

სადაც:

$cOPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cOPEX_{(t-1)}$ – საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატესტო წლისთვის (ლარი);

CPI_t – ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი ტარიფის გაანგარიშების წლისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (%);

X_t – ეფექტიანობის ფაქტორი ტარიფის გაანგარიშების წლისთვის (%);

$CPI_{(t+1)}$ – ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (%);

$X_{(t+1)}$ – ეფექტიანობის ფაქტორი სატარიფო წლისთვის (%).

3. ტარიფის გაანგარიშების წლისთვის (t) ინფლაციის (CPI_t) საშუალო წლიურ მაჩვენებლად აიღება სატესტო წლის წინა წლის (t-2) ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება წინა წლის (t-3) ინფლაციის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან.

4. სატარიფო წლისთვის (t+1) ინფლაციის (CPI_{t+1}) საშუალო წლიურ მაჩვენებლად აიღება სატესტო წლის (t-1) ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება სატესტო წლის წინა წლის (t-2) ინფლაციის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან.

მუხლი 12. არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები

1. არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებში გაითვალისწინება ყველა ის დანახარჯი, რომლებიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომლებზეც საწარმოს გადაწყვეტილების მიღება ან ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია (გადასახადები, მოსაკრებლები, კომისიის რეგულირების საფასური, ბაზრის ოპერატორის ტარიფი და სხვა).
2. სატარიფო წლისთვის სატესტო წლის არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები იცვლება მხოლოდ სამომხმარებლო ფასების ინდექსით და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$ncOPEX_{(t+1)} = ncOPEX_{(t-1)} \times (1 + CPI_t) \times (1 + CPI_{(t+1)}) \quad (8),$$

სადაც:

$ncOPEX_{(t+1)}$ – საწარმოს არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$ncOPEX_{(t-1)}$ – საწარმოს არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები სატესტო წლისთვის (ლარი);

CPI_t – ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი ტარიფის გაანგარიშების წლისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (%);

$CPI_{(t+1)}$ – ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (%).

მუხლი 13. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგი

1. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის სიდიდე საწარმოსათვის დგინდება კომისიის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით და მოქმედებს სატარიფო რეგულირების პერიოდში.
2. კომისიის მიერ საწარმოსათვის დადგენილი ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის სიდიდე უცვლელია რეგულირების პერიოდის განმავლობაში, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.
3. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის ახალი მაჩვენებლები განისაზღვრება ყოველი ახალი რეგულირების პერიოდის დაწყებამდე.
4. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგი განისაზღვრება კომისიის შესაბამისი დადგენილებით.

5. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის ღირებულება ტარიფში გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მიერ გაწეული შესაბამისი მომსახურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს ასეთ ხარჯს.
6. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგი აღემატება შესაბამისი საწარმოსათვის დადგენილ ელექტროენერგიის ნორმატიულ დანაკარგს, სხვაობით მიღებული ზენორმატიული დანაკარგის ღირებულება არ იქნება გათვალისწინებული ტარიფის გაანგარიშებისას და არ აუნაზღაურდება საწარმოს.
7. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ფაქტობრივი დანაკარგის რაოდენობა ნაკლებია შესაბამისი ქსელისათვის დადგენილი ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის რაოდენობაზე, სხვაობით მიღებული მოგება რჩება საწარმოს.
8. როდესაც ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელით განაწილებისა და გატარების მომსახურება ითვალისწინებს ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის შევსების ვალდებულებას, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში არსებული ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის შესყიდვის დანახარჯი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CNL_{(t+1)} = P_{საშ(t+1)} \times E_{დანაკ(t+1)} / 100 \quad (9),$$

სადაც:

- $CNL_{(t+1)}$ – ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში არსებული ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);
- $P_{საშ(t+1)}$ – სატარიფო წლისთვის ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების შესავსებად შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი (თეთრი/კვტსთ);
- $E_{დანაკ(t+1)}$ – ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ).

9. განაწილების ლიცენზიატის მიერ სატარიფო წლისთვის ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების შესავსებად შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იანგარიშება ამ მეთოდოლოგიის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
10. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების რაოდენობა სატარიფო წლისთვის განისაზღვრება ამ მეთოდოლოგიის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

დადგენილი განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის საპროგნოზო რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 14. დანახარჯების გადანაწილება (ალოკაცია)

1. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, თითოეულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული სატესტო წლის შემოსავლები, დანახარჯები და აქტივების ღირებულება კომისიაში წარმოადგინოს განცალკევებულად, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით.
2. კომისიის მიერ განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფები დგინდება შესაბამისი საწარმოს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის საფეხურების მიხედვით.
3. საწარმო ვალდებულია სატესტო წლის პირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის შესაბამის საფეხურს, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის თითოეულ საფეხურს და დაასაბუთოს მიკუთვნების მეთოდის გონივრულობა და სამართლიანობა.
4. კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს საწარმოს მიერ გამოყენებულ არაპირდაპირი დანახარჯების მიკუთვნების მეთოდს (მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით) და გამოიყენოს დანახარჯების გადანაწილების სხვა მეთოდი.
5. ძაბვის საფეხურების მიხედვით შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისათვის დანახარჯების გადანაწილება ძაბვის საფეხურებს შორის კომისიის მიერ ხორციელდება დანახარჯების კასკადირების მეთოდით (დანართი №1).

თავი III. ტარიფების გაანგარიშება განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშება

მუხლი 15. ელექტროენერგიის განაწილების და გატარების ტარიფები

1. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატისათვის განაწილების და გატარების საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერგიის განაწილების და გატარების ტარიფები.
2. ელექტროენერგიის განაწილების და გატარების ტარიფები დგინდება ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შემდეგი საფეხურების მიხედვით:
 - ა) 0,2-0,4 კილოვოლტ ძაბვაზე;
 - ბ) 3,3-6-10 კილოვოლტ ძაბვაზე;
 - გ) 35-110 კილოვოლტ ძაბვაზე.
3. ელექტროენერგიის განაწილების და გატარების ტარიფები ძაბვის თითოეული საფეხურისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{i\text{განაწ}} = \frac{RCB_i(t+1)}{E_{i\text{განაწ}}(t+1)} \times 100 \quad (10),$$

სადაც:

- $T_{i\text{განაწ}}$ – საწარმოს განაწილების ტარიფი ძაბვის i-ური საფეხურისათვის (თეთრი/კვტსთ);
- $RCB_{i(t+1)}$ – საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება, სატარიფო რეგულირების პერიოდის სატარიფო წლისთვის, მიკუთვნებული ძაბვის i-ურ საფეხურს, ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად (ლარი);
- $E_{i\text{განაწ}(t+1)}$ – საწარმოს მიერ ძაბვის i-ურ საფეხურზე ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელით განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის საპროგნოზო რაოდენობების ჯამი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
- i – ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

4. გატარების ტარიფები განაწილების ტარიფების ტოლია.

მუხლი 16. ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი

1. ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვასა და განაწილებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.
2. ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი დგინდება ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის თითოეული საფეხურის მიხედვით და ამ მეთოდოლოგიისა და ამ მუხლში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{i\text{მოხმარ}}(t+1) = P_{საშ}(t+1) + T_{i\text{განაწ}}(t+1) \quad (11),$$

სადაც:

- $T_{i\text{მოხმარ}}(t+1)$ – სატარიფო წლისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის i-ურ საფეხურზე (თეთრი/კვტსთ);
- $T_{i\text{განაწ}}(t+1)$ – სატარიფო წლისთვის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის i-ურ საფეხურზე (თეთრი/კვტსთ);

$P_{საშ(t+1)}$ – სატარიფო წლისთვის განაწილების ლიცენზიატის მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს (თეთრი/კვტსთ);

i – ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

მუხლი 17. ელექტროენერგიის რაოდენობა და საშუალო შეწონილი ფასი

1. ტარიფების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს საწარმოს მიერ სატესტო წელს შესყიდული და განაწილებული ელექტროენერგიის რაოდენობების ფაქტობრივი მონაცემებით, სექტორში მოხმარების დინამიკის გათვალისწინებით ან/და ტარიფის გაანგარიშების წელს სატარიფო წლისთვის დამტკიცებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსებით.

2. სატარიფო წლისთვის განაწილების ლიცენზიატის მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის განსაზღვრისათვის საწარმო ვალდებულია კომისიას წარუდგინოს სატარიფო წლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ელექტროენერგიის კონკრეტული წყაროებიდან შესყიდვის სავარაუდო რაოდენობა და ფასი, აგრეთვე ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა საპროგნოზო დანახარჯები, როგორცაა გადაცემის, დისპეტჩერიზაციის მომსახურებასა და გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები. წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით კომისია ადგენს საწარმოს მიერ სატარიფო წლისათვის შესყიდული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ფასს.

3. წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით კომისია ადგენს საწარმოს მიერ სატარიფო წლისათვის შესყიდული (შესასყიდი) ელექტროენერგიის საშუალო შეწონილ ფასს შემდეგი ფორმულით:

$$P_{საშ(t+1)} =$$

$$\frac{COSTE(t+1) + COSTGC(t+1) + COSTT(t+1) + COSTD(t+1) + CORR_{ელ.ენერგია}(t+1)}{E_{მიღებ}(t+1)} \times 100 \quad (12),$$

სადაც:

$P_{საშ(t+1)}$ – საწარმოს მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტსთ);

$COST_{E(t+1)}$ – საწარმოს მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის ჯამური საპროგნოზო ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$COST_{GC(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის საფასურის ჯამური საპროგნოზო ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$COST_{T(t+1)}$ – გადაცემის ლიცენზიატების მიერ გაწეული გადაცემის მომსახურების ჯამური საპროგნოზო ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$COST_{D(t+1)}$ – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაწეული დისპეტჩერიზაციის მომსახურების ჯამური საპროგნოზო ღირებულება სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CORR_{ელ.ენერგია(t+1)}$ – ელექტროენერგიის შესყიდვის კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს სატარიფო წლის ტარიფში ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ და დაგეგმილ დანახარჯებს შორის სხვაობის ასახვას (ლარი);

$E_{მიღებ(t+1)}$ – საწარმოს მიერ მიწოდების პუნქტებში მიღებული (აღრიცხული) ელექტროენერგიის საპროგნოზო რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ).

თავი IV. ტარიფების კორექტირება

მუხლი 18. ტარიფების კორექტირების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაგეგმილი მაჩვენებლების (რეგულირებადი აქტივების ღირებულება, ინვესტიციები, შესყიდული და განაწილებული (გატარებული) ელექტროენერგიის რაოდენობები და ღირებულებები და სხვა) ასახვას რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში. შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის ტარიფების კორექტირება განახორციელოს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით.
2. ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფის კორექტირება ხორციელდება ელექტროენერგიის განაწილების ტარიფის ან ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირების შედეგად.

მუხლი 19. განაწილების ტარიფის კორექტირება

1. ყოველი სატარიფო წლის ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი ექვემდებარება კორექტირებას და ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

ა) განხორციელებული ინვესტიცია;

ბ) განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის რაოდენობა;

გ) ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის ღირებულება;

დ) მომსახურების ხარისხი;

ე) არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR_{(t+1)} = cRRAB_{(t+1)} + cD_{(t+1)} - cRev_{(t+1)} + cCNL_{(t+1)} - nopREV_{(t+1)} \quad (13),$$

სადაც:

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის (ლარი);

$cRRAB_{(t+1)}$ – სხვაობა რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ფაქტობრივ და დაგეგმილ ამონაგებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ასახული სატარიფო წელს (t+1) (ლარი);

$cD_{(t+1)}$ – სხვაობა ცვეთის ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ასახული სატარიფო წელს (t +1) (ლარი);

$cRev_{(t+1)}$ – სხვაობა ფაქტობრივად განაწილებული და დაგეგმილი გასანაწილებელი ელექტროენერგიით მიღებულ შემოსავლებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ასახული სატარიფო წელს (t +1) (ლარი);

$cCNL_{(t+1)}$ – სხვაობა ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების ფაქტობრივ და დაგეგმილ ღირებულებებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ასახული სატარიფო წელს (t+1) (ლარი);

$nopREV_{(t+1)}$ – საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების არარეგულირებად საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საწარმოს ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებიდან მიღებულ შემოსავალსა და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის დადებითი სხვაობა,

აგრეთვე მესამე მხარისაგან საწარმოს მიერ საოპერაციო დანახარჯების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრები სატესტო წელს (t-1) (ლარი).

მუხლი 20. კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

1. თუ საწარმოს მიერ სატარიფო რეგულირების პერიოდში ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიცია განსხვავდება დაგეგმილი ინვესტიციის მოცულობისაგან, ტარიფის კორექტირება ხდება ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ამ მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.
2. საწარმოს კაპიტალური დანახარჯების კორექტირება სხვაობით მიღებული ინვესტიციის ოდენობაზე იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$cRRAB_{(t+1)} = [(aRAB_{(t-1)} - pRAB_{(t-1)}) \times WACC_{(t-1)}] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (14),$$

სადაც:

$cRRAB_{(t+1)}$ – ამონაგების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aRAB_{(t-1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ფაქტობრივი ღირებულება (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pRAB_{(t-1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის დაგეგმილი ღირებულება (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ს ტოლია (%).

$$cD_{(t+1)} = (aD_{(t-1)} - pD_{(t-1)}) \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (15),$$

სადაც:

$cD_{(t+1)}$ – კორექტირებული წლიური ცვეთის ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aD_{(t-1)}$ – ფაქტობრივი წლიური ცვეთის ღირებულება (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pD_{(t-1)}$ – დაგეგმილი წლიური ცვეთის ღირებულება (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც $WACC$ -ს ტოლია (%).

მუხლი 21. ელექტროენერგიის განაწილებითა და გატარებით მიღებული შემოსავლების კორექტირება

1. თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად განაწილებული და გატარებული ელექტროენერგია განსხვავდება დაგეგმილი რაოდენობისაგან, მაშინ საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cREV_{(t+1)} = [(aE_{(t-1)} - pE_{(t-1)}) \times T_{(t-1)}] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (16),$$

სადაც:

$cREV_{(t+1)}$ – შემოსავლების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aE_{(t-1)}$ – განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pE_{(t-1)}$ – გასანაწილებელი და გასატარებელი ელექტროენერგიის დაგეგმილი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$T_{(t-1)}$ – ტარიფი (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც $WACC$ -ს ტოლია (%).

2. კომისია არ გამოიყენებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კორექტირების მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუ განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობის დანაკლისი დაგეგმილთან მიმართებაში გამოწვეულია საწარმოს მიზეზით.

მუხლი 22. ნორმატიული დანაკარგების ღირებულების კორექტირება

1. თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად განაწილებული და გატარებული ელექტროენერგია განსხვავდება დაგეგმილი

რაოდენობისაგან, კომისია უზრუნველყოფს საწარმოს ფაქტობრივად განაწილებულ და გატარებულ ელექტროენერგიაზე დანაკარგების განსაზღვრას დადგენილი ნორმატიული მაჩვენებლით და ახდენს ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების ღირებულების კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cCNL_{(t+1)} = [(aE_{დანაკ(t-1)} \times aP_{საშ(t-1)} - pE_{დანაკ(t-1)} \times pP_{საშ(t-1)})] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (17),$$

სადაც:

$cCNL_{(t+1)}$ – ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aE_{დანაკ(t-1)}$ – ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (კვტსთ);

$pE_{დანაკ(t-1)}$ – ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დაგეგმილი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (კვტსთ);

$aP_{საშ(t-1)}$ – ელექტროენერგიის შესყიდვის ფაქტობრივი საშუალო შეწონილი ფასი (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pP_{საშ(t-1)}$ – ელექტროენერგიის შესყიდვის დაგეგმილი საშუალო შეწონილი ფასი (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ს ტოლია (%).

2. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული რაოდენობა სატესტო წლისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$aE_{დანაკ(t-1)} = aE_{(t-1)/(1-L)} - aE_{(t-1)} \quad (18),$$

სადაც:

$aE_{\text{დანაკ}(t-1)}$ – ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების კორექტირებული რაოდენობა ($t-1$) პერიოდისთვის (კვტსთ);

$aE_{(t-1)}$ – განაწილებული და გატარებული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა ($t-1$) პერიოდისთვის (კვტსთ);

L – კომისიის მიერ რეგულირების პერიოდისათვის დადგენილი ნორმატიული დანაკარგების ოდენობა (%).

მუხლი 23. ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება

1. თუ სატარიფო რეგულირების პერიოდში საწარმოს მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ფაქტობრივი საშუალო შეწონილი ფასი განსხვავდება დაგეგმილი ფასისაგან, კომისია უფლებამოსილია სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეულ წელს მოახდინოს ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის კორექტირება ამ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული დროში ფულის ღირებულების პრინციპის გამოყენებით.

2. ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

ა) შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობასა და ღირებულებას;

ბ) შესყიდული გარანტირებული სიმძლავრის, აგრეთვე გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების ღირებულებას.

3. ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის კორექტირება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება საშუალო შეწონილი ფასის დაგეგმილსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის განპირობებულია საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

თავი V. ტარიფების დადგენისა და განაცხადის წარდგენის პროცედურები

მუხლი 24. აღრიცხვა-ანგარიშგება

1. რეგულირების მიზნებისთვის საწარმო ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს კომისიის მიერ დამტკიცებული ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, თითოეულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად.

3. საწარმომ მომხმარებლის ფინანსური წყაროებით შექმნილი ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს განცალკევებულად, ამ მეთოდოლოგიის პირობების შესაბამისად.

მუხლი 25. ტარიფის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ტარიფის დადგენის მიზნით საწარმო ვალდებულია ტარიფის გაანგარიშების წლისთვის კომისიაში წარმოადგინოს სატარიფო განაცხადი.
2. სატარიფო განაცხადისა და მონაცემთა ფორმები, აგრეთვე სატარიფო განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. სატარიფო განაცხადთან ერთად საწარმომ ასევე უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) საბუღალტრო ბალანსი;
 - ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგება;
 - გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.
4. კომისია უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
5. სატარიფო განაცხადისა და მასზე დართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სატარიფო განაცხადის წარმომდგენს.

მუხლი 26. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არსებული ტარიფის მოქმედების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 150 დღისა.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არა უმეტეს 45 დღისა. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საწარმო კომისიაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად. ამასთან, თუ განუხილველად დატოვებული სატარიფო განაცხადი წარდგენილი იყო კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე

(რეგულირების პერიოდის გასვლის გამო), საწარმოს შეიძლება დაეკისროს კანონით გათვალისწინებული სანქცია.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს საწარმოს ტარიფებს. ამ შემთხვევაში საწარმოს მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე.

7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა, აგრეთვე კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის.

8. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები.

9. სატარიფო განაცხადთან დაკავშირებული მოსაზრებები წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას. ამასთან, პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა, წარმოდგენილი მოსაზრებების ასლი უნდა გაეგზავნოს სატარიფო განაცხადის წარმდგენს, ხოლო მოსაზრებები განიხილება სატარიფო განაცხადის საჯარო განხილვისას.

10. სატარიფო განაცხადის განხილვის პროცესში კომისია უფლებამოსილია საწარმოსგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვადასხვა სახის დასკვნის წარდგენა.

11. სატარიფო განაცხადის განხილვისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები აღნიშნულ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით.

12. განმცხადებელს 7 სამუშაო დღით ადრე უნდა ეცნობოს სატარიფო განაცხადის საჯარო სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 27. გარდამავალი დებულება

1. პირველი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ქვემოთ მოცემული კომპონენტების სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) – 7.50%;

ბ) სესხის პრემია (DP) – 3.50%;

გ) ბაზრის რისკის პრემია ($r_m - r_{rf}$) – 7.25%;

დ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 1.00.

2. პირველი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ზოგ}$) უდრის 2%-ს, ხოლო ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ინდ}$) – 0-ს.

3. იმ საწარმოსთვის, რომელსაც კომისიის მიერ ტარიფები დადგენილი აქვს 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, პირველი სატარიფო რეგულირების პერიოდი ვრცელდება 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების ძირითადი პრინციპები და მექანიზმები გავრცელდება მხოლოდ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სატარიფო რეგულირების პერიოდზე.


4. წინამდებარე მეთოდოლოგიის IV თავით გათვალისწინებული კორექტირებები განხორციელდება პირველი სატარიფო რეგულირების პერიოდის მეორე კალენდარული წლიდან (გარდა მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორექტირებისა) ყოველწლიურად.

5. მომსახურების ხარისხის ფაქტორით ტარიფის კორექტირება განხორციელდება კომისიის მიერ შესაბამისი წესის ამოქმედების შემდეგ.

დანართი №1

დანახარჯების კასკადირების მეთოდი

ხარჯების სხვადასხვა ძაბვის საფეხურის მომხმარებლებზე მიკუთვნების (ალოკაციის) კასკადირების მექანიზმი (რაც წარმოადგენს ხარჯების ალოკაციის მეორე ეტაპს), ძაბვის საფეხურებზე ენერგიის მოხმარებაზე დაყრდნობით:



G_1 - პირველ საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G_2 - მეორე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G_3 - მესამე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

L_1 - პირველ საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L_2 - მეორე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L_3 - მესამე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

C_{11} - პირველ საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (პირველ საფეხურზე მოხმარება);

C_{12} - პირველი საფეხურიდან მეორეზე გაცემული ენერგია;

$C_1 = C_{11} + C_{12}$, პირველი საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია ($G_1 - L_1$);

C_{22} - მეორე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მეორე საფეხურზე მოხმარება);

C_{23} - მეორე საფეხურიდან მესამეზე გაცემული ენერგია;

$C_2 = C_{22} + C_{23}$, მეორე საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია ($G_2 + C_{12} - L_2$);

C_{33} - მესამე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მესამე საფეხურზე მოხმარება);

$S_{11} = C_{11} / C_1$ პირველი საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S_{22} = C_{22} / C_2$ მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S_{33} = C_{33} / C_3$ მესამე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

ხარჯების ძაბვის საფეხურის მიხედვით მიკუთვნების (ალოკაციის) მექანიზმი ეყრდნობა ცალკეულ ძაბვის საფეხურზე ენერგიის მოხმარებებს.

$$S_1 = S_{11} \times Cost_1,$$

პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი განისაზღვრება, როგორც პირველი საფეხურის ხარჯების ($Cost_1$) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელი წილი, ანუ S_{11} კოეფიციენტი მრავლდება პირველ საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე.

$$S_2 = S_{22} \times Cost_2 + S_{22} \times ((1 - S_{11}) \times Cost_1),$$

მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი შედგება ორი კომპონენტისაგან:

პირველი მათგანი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების ($Cost_2$) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელ წილს, ანუ S_{22} კოეფიციენტი მრავლდება მეორე საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე;

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების ($Cost_1$) მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნიებელი) წილი, რომლიდანაც მეორე საფეხურს მიეკუთვნება ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილს ამავე საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

$$S_3 = S_{33} \times Cost_3 + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times Cost_2) + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times (1 - S_{11}) \times Cost_1),$$

მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნების კოეფიციენტი შედგება სამი კომპონენტისაგან.

პირველი მათგანი განსაზღვრავს მესამე საფეხურის ხარჯების ($Cost_3$) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელ წილს, ანუ S_{33} (ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს 100%-ს) კოეფიციენტი მრავლდება მესამე საფეხურზე მიკუთვნიებულ ხარჯზე.

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების ($Cost_2$) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელ წილს და წარმოადგენს მეორე საფეხურის ხარჯების ნარჩენ (მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნიებელ) წილს, რომლის მთლიანად მიკუთვნიება ხდება მესამე საფეხურზე (რადგან $S_{33} = 100\%$).

მესამე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების ($Cost_1$) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნიებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნიებელი) წილი, რომლიდანაც მესამე საფეხურის მომხმარებლებს მიეკუთვნიება ის ნაწილი, რომლის მიკუთვნიებაც არ მოხდა მეორე საფეხურის მომხმარებლებისათვის.

იმის დასადგენად, თუ რა რაოდენობის ენერგია გაიცემა ჯამში თითოეული ძაბვის საფეხურიდან (C_1 , C_2 და C_3), საჭიროა მთლიანი დანაკარგების ცოდნა ძაბვის საფეხურების მიხედვით (L_1 , L_2 და L_3). იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკარგების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ჯამურია და მისი ჩაშლა ძაბვის საფეხურების მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი, დანაკარგების გადანაწილებას ძაბვის საფეხურებზე კომისია მოახდენს ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, მაქსიმალურად შესაძლო მიახლოებით.

**ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და
ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების
ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.
2. ამ მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშება ხდება "დანახარჯები პლუს" რეგულირების პრინციპის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და სამართლიანი მოგების მიღებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით.
2. მეთოდოლოგიაში სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **არამატერიალური აქტივი** – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, მათ შორის პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია და სხვა არამატერიალური აქტივები;
 - ბ) **აქტივი** - მატერიალური და არამატერიალური აქტივი;
 - გ) **აქტივის აღდგენითი ღირებულება** - დანახარჯების ჯამური თანხა, რომელიც საჭირო იქნება შესაფასებელი აქტივის ანალოგიური აქტივის შესაქმნელად;
 - დ) **აქტივის თვითღირებულება** – აქტივის შექმნის ან საწყისი შემენის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულების თანხა;
 - ე) **აქტივის ისტორიული ღირებულებით შეფასების მეთოდი** – აქტივის ღირებულების შეფასება მისი შექმნის ან საწყისი შემენის ფასით;
 - ვ) **გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოების ტარიფი** – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ფასი, რომელშიც აისახება უშუალოდ

ელექტროენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯები, გარდა გარანტირებული სიმძლავრის საფასურში ასახული დანახარჯებისა;

ზ) გარანტირებული სიმძლავრის საფასური – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის დადგენილი საფასური, რომელიც უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯებისა და კაპიტალური დანახარჯების ანაზღაურებას;

თ) გონივრული ხარჯები – საწარმოს მიერ მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, რომელიც რაციონალურია და აუცილებელია საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;

ი) დანახარჯების აუდიტი – რეგულირების მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც კომისიის ან/და ნეიტრალური მესამე მხარის მიერ დგინდება საწარმოს მიერ გაწეული დასაბუთებული დანახარჯები და განისაზღვრება რეგულირებადი აქტივების ბაზა;

კ) დანახარჯების კასკადირების მეთოდი – ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ზედა ძაბვის საფეხურს მიკუთვნებული ხარჯის ნაწილის ასახვა მომდევნო ძაბვის საფეხურს მიკუთვნებულ ხარჯებში;

ლ) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ კვალიფიციური საწარმოებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაწეული მომსახურების ფასი;

მ) ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი – გადაცემის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის მეშვეობით მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის გადაცემაზე გაწეული მომსახურების ფასი;

ნ) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ტარიფი – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციაზე გაწეული მომსახურების ფასი;

ო) ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი – წარმოების ლიცენზიატის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ფასი, რომელშიც აისახება წარმოების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯები;

პ) ინვესტიცია – იმ აქტივების შექმნის, შეძენის ან/და/ რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდებები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება ერთ წელს;

ჟ) კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა, რომელიც იანგარიშება გადასახადებამდე, კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული) სტრუქტურის მიხედვით;

რ) კაპიტალური დანახარჯები (CAPEX) – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის ამონაგები რეგულირებადი აქტივების ბაზაზე და ცვეთა/ამორტიზაცია;

ს) მატერიალური აქტივი – შესაბამის რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები, მათ შორის მიწა, შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადაც აღემატება ერთ წელს;

ტ) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), რომელიც საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს, იხდის

ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების საფასურს ან/და საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივს;

უ) რეგულირებადი საქმიანობა – ამ მეთოდოლოგიის მიზნებისათვის ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურება, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის წარმოება, რომელიც რეგულირდება კომისიის მიერ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად;

ფ) რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB) – კომისიის მიერ სატარიფო წლისთვის საწარმოსთვის ნებადართული შემოსავალი, რომელიც საჭიროა საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებს და მიზანშეწონილ მოგებას;

ქ) რეგულირებადი აქტივების ბაზა (RAB) – საწარმოს რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები (გარდა მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივებისა), რომლებიც უშუალო კავშირშია შესაბამის რეგულირებად საქმიანობასთან და მონაწილეობს ტარიფის გაანგარიშებაში;

ღ) „სამშენებლო ბლოკების“ მეთოდი – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრა მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით;

ყ) სატარიფო წელი ($t+1$) – კალენდარული წელი, რომლისთვისაც კომისია ადგენს ტარიფს ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად;

შ) საოპერაციო დანახარჯები - წარმოების, გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის, აგრეთვე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო და სხვა დანახარჯები;

ჩ) სატესტო წელი ($t-1$) – კომისიის მიერ ტარიფის გაანგარიშების წლის წინა კალენდარული წელი;

ც) სატარიფო განაცხადი – კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმები, რომლებშიც ასახულია საწარმოს სატესტო წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემები, ასევე სატესტო წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციები;

ძ) საწარმო – წარმოების, გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატები, ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობისა და ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდებათ ტარიფი შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობისათვის;

წ) ტარიფის გაანგარიშების წელი (t) – სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი;

ჭ) ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც არ არის დამოკიდებული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე;

ხ) ცვეთა/ამორტიზაცია – მატერიალური/არამატერიალური აქტივების ცვეთადი ღირებულების თანდათანობით გადატანა მისი სასარგებლო მომსახურების ვადაზე;

ჯ) ცვლადი საოპერაციო დანახარჯები – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დამოკიდებულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ

ელექტროენერგიის გამომუშავებაზე ან გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე (მათ შორის, სათბობის ხარჯი, ქიმიური რეაგენტები და ა.შ.);

3) წმინდა საბალანსო ღირებულება – აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ტარიფები:

ა) იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;

ბ) ხელს უწყობს საწარმოს სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას;

გ) უზრუნველყოფს საწარმოსათვის გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას;

დ) ასახავს მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მომსახურების განსხვავებულ ღირებულებას;

ე) ფარავს საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარჯებს მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისაგან მიღებული თანხებით, ამ კატეგორიის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

2. საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრისას გამოიყენება „სამშენებლო ბლოკების“ მიდგომის მეთოდი. ამ მეთოდით განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) კაპიტალური დანახარჯები;

ბ) საოპერაციო დანახარჯები.

3. კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, აღნიშნული დანახარჯების ყოველწლიური აუდიტით.

4. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების აუდიტის შედეგად გამოვლინდა სატესტო წლამდე არსებული გასული წლების მონაცემების მაკორექტირებელი ინფორმაცია, რომლის იდენტიფიცირებაც არ მოხდა წინა სატარიფო წლ(ებ)ის ტარიფების გაანგარიშებისას, კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს სატესტო წლის აუდიტის შედეგების კორექტირებისთვის. კორექტირება განხორციელდება ამ მეთოდოლოგიის IV თავში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

5. კომისიის მიერ დადგენილი ყველა ტარიფი გაიანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. ტარიფების დადგენის პერიოდი

1. ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად ტარიფების დადგენა ხორციელდება 2015 წლის 1 იანვრიდან.

2. კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თავი II. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა

მუხლი 5. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის

რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{(t+1)} = CAPEX_{(t+1)} + OPEX_{(t+1)} + CORR_{(t+1)} \quad (1),$$

სადაც:

$RCB_{(t+1)}$ – საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$OPEX_{(t+1)}$ – საწარმოს საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს სატარიფო წლის დანახარჯების ბაზაში კორექტირებას დაქვემდებარებული სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ დანახარჯებს შორის სხვაობის, აგრეთვე ამ მეთოდოლოგიის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის, ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპებით ასახვას (ლარი).

მუხლი 6. კაპიტალური დანახარჯები

სატარიფო წლისთვის კაპიტალური დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAPEX_{(t+1)} = RAB_{start(t+1)} \times WACC + D_{(t+1)} \quad (2),$$

სადაც:

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);

$RAB_{start(t+1)}$ – რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის (ლარი);

$WACC$ - რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა სატარიფო წლისთვის (%);

$D_{(t+1)}$ - სატარიფო წლის ცვეთა (ლარი).

მუხლი 7. რეგულირებადი აქტივების ბაზა

1. აქტივის ღირებულება განისაზღვრება ისტორიული ღირებულების შეფასების მეთოდით.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდი.
3. საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია, შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინებს აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას.
4. რეგულირებადი აქტივების ბაზაში მონაწილეობს არსებული აქტივების ღირებულება, მათ შორის ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციები.
5. რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ მონაწილეობს:
 - ა) ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა მესამე მხარის დაფინანსებით და ასეთი აქტივები საწარმოს მიერ უნდა აღირიცხოს განცალკევებულად;
 - ბ) ინვესტიცია, რომელსაც კომისია არ მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად;
 - გ) რეგულირებად საქმიანობაში გამოუყენებელი აქტივები;
 - დ) დაუმთავრებელი მშენებლობა;
 - ე) გუდვილი, გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოქმნილი გუდვილისა.
6. კომისია ამ მუხლის მე-5 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული აქტივის თვითღირებულებაში გაითვალისწინებს მშენებლობის პროცესში საწარმოს მიერ მშენებლობის დაფინანსებისათვის აღებული გრძელვადიანი სესხის ფაქტობრივი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით გადახდილი სესხის პროცენტის კაპიტალიზირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული სესხის ღირებულების (Id) განაკვეთისა.
7. საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება განისაზღვრება ამ ბაზაში ჩართული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებით.
8. სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის კომისია უფლებამოსილია აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინოს აქტივის გაუფასურება. ამასთან, კომისია უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში ტარიფში ასახოს აქტივის გაუფასურების ზარალი. საწარმოს მიერ გაუფასურების ზარალის აღრიცხვა უნდა მოხდეს განცალკევებულად.
9. რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RAB_{start(t+1)} = RAB_{end(t-1)} + INV_t - D_t \quad (3),$$

სადაც:

$RAB_{start(t+1)}$ - რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო წლის (t+1) დასაწყისში (ლარი);

$RAB_{end(t-1)}$ - რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატესტო წლის (t-1) ბოლოს (ლარი);

INV_t - ტარიფის გაანგარიშების წელს (t) ფაქტობრივად განხორციელებული და კომისიის მიერ დადასტურებული ინვესტიცია (ლარი);

D_t - ტარიფის გაანგარიშების წლის (t) ცვეთა (ლარი);

მუხლი 8. ცვეთა/ამორტიზაცია

1. კომისია ცვეთა/ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრისთვის იყენებს წრფივი დარიცხვის მეთოდს.
2. 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება კომისიის მიერ დამტკიცებული "სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები".
3. 2014 წლის 1 იანვრამდე შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან მიმართებაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.

მუხლი 9. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება

1. რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მეთოდით.
2. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) გადასახადებამდე, სატარიფო წლისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WACC_{\text{გადასახადებამდე}} = g \times r_d + \frac{(1 - g) \times r_e}{(1 - T)} \quad (4),$$

სადაც:

$WACC_{\text{გადასახდებამდე}}$	- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გადასახდებამდე (%);
g	- სესხის წილი (%);
rd	- სესხის ღირებულება (%);
re	- საკუთარი კაპიტალის ღირებულება (%);
T	- მოგების გადასახადი (%).

3. სესხისა და საკუთარი კაპიტალის ღირებულება იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$rd = r_{rf} + DP \quad (5),$$

$$re = r_{rf} + \beta \times (r_m - r_{rf}) \quad (6),$$

სადაც:

r_{rf}	- ურისკო საპროცენტო განაკვეთი (%);
DP	- სესხის პრემია (%);
r_m	- ბაზრის რისკი (%);
β	- სექტორული რისკის კოეფიციენტი.

4. სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში შეადგენს 60 პროცენტს.

5. კომისია ურისკო საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სახელმწიფო გრძელვადიან საერთაშორისო ობლიგაციებზე ვადის გასვლამდე წლიური შემოსავლის ოდენობით, ხოლო ბაზრის რისკის პრემიასა და სესხის პრემიას საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

მუხლი 10. საოპერაციო დანახარჯები

1. სატარიფო წლისთვის საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება სატესტო წლის მონაცემები.
2. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება სატესტო წლის ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.
3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ გააჩნია სატესტო წლის ფაქტობრივი მონაცემები, კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს საწარმოს სატარიფო განაცხადით განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური საპროგნოზო მონაცემები სატარიფო წლისთვის. კომისია უფლებამოსილია ასეთ

შემთხვევაში გაითვალისწინოს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

4. საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებად საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის:

ა) ექსპლუატაციისა და მომსახურების დანახარჯები;

ბ) ადმინისტრაციული და საერთო დანახარჯები.

5. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი ძირითადი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, მიმდინარე რემონტის, შენახვა-ექსპლუატაციისა და სხვა დანახარჯების ანაზღაურებას.

6. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისათვის აღებული მოკლევადიანი სესხის საპროცენტო ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობას.

7. სატარიფო წლისთვის ტარიფის გაანგარიშებისას კომისია ეყრდნობა საწარმოს სატესტო წლის აუდიტებულ ფაქტობრივ ფინანსურ მონაცემებს და ტექნიკური სახის ინფორმაციას, მათ შორის, სათბობის ხვედრითი ხარჯების ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით, დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ.

8. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე და შეაფასოს წარმოდგენილი დანახარჯების გონივრულობა და შესაბამისობა. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია სატესტო წლის საოპერაციო დანახარჯების შეფასება განახორციელოს საწარმოს წინა წლების საოპერაციო დანახარჯების ანალიზის საფუძველზე.

9. თუ საწარმო ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ რეგულირებად საქმიანობასთან ერთად ეწევა სხვა არარეგულირებად საქმიანობას, ამგვარ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები არ იქნება გათვალისწინებული ტარიფის გაანგარიშებისას.

მუხლი 11. ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგი

ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგის ღირებულება ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფში გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მიერ გაწეული შესაბამისი მომსახურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს ასეთ ხარჯს.

მუხლი 12. დანახარჯების გადანაწილება (ალოკაცია)

1. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, ეწევა არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, თითოეულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული სატესტო წლის შემოსავლები, დანახარჯები და აქტივების ღირებულება კომისიაში წარმოადგინოს განცალკევებულად, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმებით.

2. კომისიის მიერ გადაცემის ტარიფები დგინდება შესაბამისი საწარმოს გადაცემის ქსელის ძაბვის საფეხურების მიხედვით.
3. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია სატესტო წლის პირდაპირი დანახარჯები მიაკუთვნოს ძაბვის შესაბამის საფეხურს, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯები ძაბვის თითოეულ საფეხურს და დაასაბუთოს მიკუთვნების მეთოდის გონივრულობა და სამართლიანობა.
4. კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს საწარმოს მიერ გამოყენებულ არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნების მეთოდს (მისი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით) და გამოიყენოს დანახარჯების გადანაწილების სხვა მეთოდი.
5. გადაცემის ძაბვის საფეხურების მიხედვით შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისათვის დანახარჯების გადანაწილება ძაბვის საფეხურებს შორის კომისიის მიერ ხორციელდება დანახარჯების კასკადირების მეთოდით (დანართი №1).

თავი III. ტარიფების გაანგარიშება

მუხლი 13. ელექტროენერგიის რაოდენობა

ტარიფების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს ტარიფის გაანგარიშების წელს სატარიფო წლისთვის დამტკიცებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანსებით ან სატესტო წლის ფაქტობრივი მონაცემებით.

მუხლი 14. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი

სატარიფო წლისთვის ელექტროსადგურის წარმოების ტარიფის გასაანგარიშებლად საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება იყოფა ელექტროსადგურის მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობაზე და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{წარ(t+1)} = \frac{RCB_{(t+1)}}{E_{გაც(t+1)}} \times 100 \quad (7),$$

სადაც:

$T_{წარ(t+1)}$ – ელექტროსადგურის მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის ტარიფი სატარიფო წლისთვის (t+1) (თეთრი/კვტსთ);

$RCB_{(t+1)}$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$E_{გვ}(t+1)$ – ელექტროსადგურის მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (t+1) (კვტსთ).

მუხლი 15. გარანტირებული სიმძლავრის საფასური და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი

1. გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის (წარმოების ლიცენზიატისთვის) დგინდება ორგანაკვეთიანი ტარიფი, რომელიც შედგება გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფისაგან.
2. გარანტირებული სიმძლავრის საფასური და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი იანგარიშება იმავე პრინციპებით და შეიცავს იმავე კომპონენტებს, რასაც ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი, ამ მუხლში მოცემული პირობების გათვალისწინებით.
3. გარანტირებული სიმძლავრის საფასური უზრუნველყოფს გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის (შესაბამისი ელექტროენერგიის მწარმოებლის) იმ ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯებისა და კაპიტალური დანახარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ელექტროენერგიის გამომუშავებასთან.
4. გარანტირებული სიმძლავრის საფასური განისაზღვრება თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის ყოველდღიურ განაკვეთზე (ბაზისზე).
5. გარანტირებული სიმძლავრის საფასური იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Q_{(t+1)} = \frac{OPEX_{ფიქს}(t+1) + CAPEX_{(t+1)}}{N_{(t+1)}} \quad (8),$$

სადა:

$Q_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის საფასური სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი/დღე);

$OPEX_{ფიქს}(t+1)$ – საწარმოს ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$CAPEX_{(t+1)}$ – საწარმოს კაპიტალური დანახარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$N_{(t+1)}$ – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების დაგეგმილი რაოდენობა სატარიფო წლისთვის (t+1).

6. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნის დღეების რაოდენობაში არ გაითვალისწინება საწარმოს მიერ წინასწარ დაგეგმილი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული გეგმური რემონტებისა და გეგმური გაჩერების პერიოდი (დღეები).
7. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფში აისახება უშუალოდ ელექტროენერგიის გამომუშავებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის (სათბობის, ქიმიური რეაგენტების და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ხარჯები).
8. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ცვლ}}(t+1) = \frac{\text{OPEX}_{\text{ცვლ}}(t+1) + c\text{EXC}(t+1) + c\text{EFF}(t+1)}{E_{\text{გაგ}}(t+1)} \times 100 \quad (9),$$

სადაც:

- $T_{\text{ცვლ}}(t+1)$ - გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი (თეთრი/კვტსთ);
- $\text{OPEX}_{\text{ცვლ}}(t+1)$ - გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ცვლადი საოპერაციო ხარჯები სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);
- $c\text{EXC}(t+1)$ - თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოებისათვის სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვისას უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის კურსისა და სათბობის შესყიდვის ფასის ფაქტობრივი და დაგეგმილი მნიშვნელობების სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც იანგარიშება მე-9 პუნქტით განსაზღვრული წესით (ლარი);
- $c\text{EFF}(t+1)$ - თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) ხვედრითი ხარჯის ფაქტობრივი და დაგეგმილი მნიშვნელობების სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული წესით (ლარი);
- $E_{\text{გაგ}}(t+1)$ - ელექტროსადგურის მიერ სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ).

9. თბოელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოებისათვის სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) შესყიდვისას უცხოური ვალუტის კურსთან მიმართებაში ლარის

კურსის და სათბობის შესყიდვის ფასის დაგეგმილი და ფაქტობრივი სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cEXC_{(t+1)} = [aV_{(t-1)} \times (aEXC_{(t-1)} \times aP_{(t-1)} - pEXC_{(t-1)} \times pP_{(t-1)})] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (10),$$

სადაც:

$aV_{(t-1)}$ - შესყიდული სათბობის ფაქტობრივი მოცულობა სატესტო წლის (t-1) განმავლობაში (მ³);

$aP_{(t-1)}$ - სათბობის შესყიდვის სახელშეკრულებო ფაქტობრივი ფასი (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში) სატესტო წლისთვის (t-1) (ლარი);

$pP_{(t-1)}$ - სათბობის შესყიდვის სახელშეკრულებო დაგეგმილი ფასი (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში) სატესტო წლისთვის (t-1) (ლარი);

$pEXC_{(t-1)}$ - ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი სატესტო წლისთვის (t-1);

$aEXC_{(t-1)}$ - ვალუტის ფაქტობრივი გაცვლითი კურსი სატესტო წლის (t-1) განმავლობაში;

$WACC$ - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).

10. თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის წარმოებისათვის საჭირო სათბობის (ბუნებრივი აირი, მაზუთი, ქვანახშირი) ხვედრითი ხარჯის დაგეგმილი და ფაქტობრივი მნიშვნელობების სხვაობით მიღებული მოგება ან ზარალი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cEFF_{(t+1)} = [aE_{(t-1)} \times pP_{(t-1)} \times pEXC_{(t-1)} \times (aEFF_{(t-1)} - pEFF_{(t-1)})] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (11),$$

სადაც:

$aE_{(t-1)}$ - სალტეზე გაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა სატესტო წლის (t-1) განმავლობაში (მ³);

$pP_{(t-1)}$ - სათბობის შესყიდვის სახელშეკრულებო დაგეგმილი ფასი (1000 მ³ უცხოურ ვალუტაში) სატესტო წლისთვის (t-1) (ლარი);

$pEXC_{(t-1)}$ - ვალუტის დაგეგმილი გაცვლითი კურსი სატესტო წლისთვის (t-1) (ლარი);

$pEFF_{(t-1)}$ - სათბობის დაგეგმილი ხვედრითი ხარჯი სატესტო წლისთვის (t-1) (მ³/კვტსთ);

$aEFF_{(t-1)}$ - სათბობის ფაქტობრივი ხვედრით ხარჯი სატესტო წლის (t-1) განმავლობაში (მ³/კვტსთ).

$WACC$ - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).

მუხლი 16. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი

1. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატისათვის გადაცემის საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები.

2. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები დგინდება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ძაბვის შემდეგი საფეხურების მიხედვით:

ა) 500 კილოვოლტ ძაბვაზე;

ბ) 400 კილოვოლტ ძაბვაზე;

გ) 220-110-35 კილოვოლტ ძაბვაზე;

დ) 6-10 კილოვოლტ ძაბვაზე.

3. გადაცემის ტარიფი სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{i\text{გადაც}(t+1)} = \frac{RCB_i(t+1)}{E_{i\text{გადაც}(t+1)}} \times 100 \quad (12),$$

სადაც:

$T_{i\text{გადაც}(t+1)}$ – ძაბვის i-ური საფეხურის გადაცემის ტარიფი (ლარი/კვტსთ);

$RCB_i(t+1)$ – გადაცემის ლიცენზიატის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება ძაბვის i-ურ საფეხურზე სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$E_{i\text{გადაც}(t+1)}$ – ძაბვის i-ურ საფეხურზე გადამცემი ქსელის საშუალებით მიწოდების პუნქტებში გადაცემული ელექტროენერგიის მთლიანი რაოდენობა, ხოლო სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის განკუთვნილი ახალი 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ტარიფის

განგარიშებისას ამ ხაზით ექსპორტირებული ელექტროენერგიის მთელი რაოდენობა (კვტ.სთ);

i – გადამცემი ქსელის ძაბვის შესაბამისი საფეხური.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტარიფის განგარიშებისას კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს გადაცემის ლიცენზიატის მიერ საქართველოს ტერიტორიის გავლით ელექტროენერგიის ტრანზიტიდან მიღებული ან მისაღები შემოსავლები. ასეთ შემთხვევაში ტრანზიტიდან მიღებული ან მისაღები შემოსავლებით შემცირდება გადაცემის ლიცენზიატის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა.

მუხლი 17. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ტარიფი

დისპეტჩერიზაციის ტარიფი სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{დისპ}(t+1)} = \frac{RCB_{(t+1)}}{E_{\text{დისპ}(t+1)}} \times 100 \quad (13),$$

სადაც:

$T_{\text{დისპ}(t+1)}$ - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფი სატარიფო წლისთვის (t+1) (თეთრი/კვ.სთ);

$RCB_{(t+1)}$ - რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$E_{\text{დისპ}(t+1)}$ - კვალიფიციური საწარმოების მიერ მიწოდების პუნქტებში მოხმარებული (აღრიცხული) ელექტროენერგიის რაოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტსთ).

მუხლი 18. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტარიფი

1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი განისაზღვრება იმ მომსახურებისათვის, რომელზეც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიციური საწარმოები ელექტროენერგეტიკული სისტემის ბაზრის ოპერატორს უხდიან მომსახურების საფასურს და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{\text{ოპ}}(t+1) = \frac{RCB(t+1)}{E(t+1)} \times 100(14),$$

სადაც:

- $T_{\text{ოპ}}(t+1)$ – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფი სატარიფო წლისთვის (t+1) (თეთრი/კვტსთ);
- $RCB(t+1)$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);
- $E(t+1)$ – სატარიფო წლისთვის ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელზეც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ ტარიფის გაანგარიშების წლის განმავლობაში კვალიფიციური საწარმოებისთვის განხორციელდება მომსახურება (კვტსთ).

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა, საწარმოს ფუნქციური თავისებურებიდან გამომდინარე, ამ მეთოდოლოგიით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB(t+1) = (D(t+1) + OPEX(t+1)) \times (1+k) \quad (15),$$

სადაც:

- $RCB(t+1)$ – რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);
- $D(t+1)$ – სატარიფო წლის ცვეთა (ლარი);
- $OPEX(t+1)$ – საწარმოს საოპერაციო დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);
- k – მოგების განაკვეთი დანახარჯების მიმართ, აიღება არა უმეტეს 3 პროცენტისა, რომელსაც ყოველწლიურად განსაზღვრავს კომისია (%).

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ იმპორტ-ექსპორტის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მოქმედი კანონმდებლობით ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები და გადასახადები არ გაითვალისწინება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას.

თავი IV. ტარიფების კორექტირება

მუხლი 19. ტარიფების კორექტირების პრინციპები და ძირითადი მექანიზმები

1. წინამდებარე მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაგეგმილი მაჩვენებლების (საოპერაციო დანახარჯები და ელექტროენერგიის რაოდენობები) ასახვას რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში. შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირება განახორციელოს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით, რომელიც ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

ა) საოპერაციო დანახარჯები;

ბ) ელექტროენერგიის რაოდენობა;

გ) არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR_{(t+1)} = cOPEX_{(t+1)} - cREV_{(t+1)} - nopREV_{(t+1)} \quad (16),$$

სადაც:

$CORR_{(t+1)}$ – დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი სატარიფო წლისთვის (t+1) (ლარი);

$cOPEX_{(t+1)}$ – სხვაობა ფაქტობრივ და დაგეგმილ საოპერაციო დანახარჯებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ასახული სატარიფო წელს (t +1) (ლარი);

$cREV_{(t+1)}$ – სხვაობა ფაქტობრივად მიღებულ და დაგეგმილ შემოსავლებს შორის სატესტო წლისთვის (t-1), ამ მეთოდოლოგიის მე-20 მუხლით განსაზღვრული კორექტირების პრინციპებით, ასახული სატარიფო წელს (t +1) (ლარი);

$nopREV_{(t+1)}$ – საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების არარეგულირებად საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საწარმოს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებიდან მიღებულ შემოსავალს და მიერთებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის დადებითი სხვაობა, აგრეთვე მესამე მხარისაგან საწარმოს მიერ საოპერაციო დანახარჯების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრები სატესტო წელს (t-1) (ლარი).

მუხლი 20. საოპერაციო დანახარჯების კორექტირება

1. თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{(t+1)} = [(aOPEX_{(t-1)} - pOPEX_{(t-1)}) \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t)] \quad (17),$$

სადაც:

$cOPEX_{(t+1)}$ - საოპერაციო დანახარჯების კორექტირებული ოდენობა (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aOPEX_{(t-1)}$ - საოპერაციო დანახარჯების ფაქტობრივი ოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pOPEX_{(t-1)}$ - საოპერაციო დანახარჯების დაგეგმილი ოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ - დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც $WACC$ -ის ტოლია (%).

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საოპერაციო დანახარჯების კორექტირებისას, კომისიის მიერ არ გაითვალისწინება დროში ფულის ღირებულების განაკვეთი და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{(t+1)} = aOPEX_{(t-1)} - pOPEX_{(t-1)} \quad (18)$$

მუხლი 21. ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობებით შემოსავლების კორექტირება

1. თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად ქსელში გაცემული, გადაცემული და დისპეტჩირებული ელექტროენერგია განსხვავდება დაგეგმილი რაოდენობებისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას შემდეგი ფორმულით:

$$cRev_{(t+1)} = [(aE_{(t-1)} - pE_{(t-1)}) \times T_{(t-1)}] \times (1 + WACC_{(t-1)}) \times (1 + WACC_t) \quad (19),$$

სადაც:

$cRev_{(t+1)}$ – შემოსავლების კორექტირებული ღირებულება (t+1) პერიოდისთვის (ლარი);

$aE_{(t-1)}$ – ქსელში გაცემული, გადაცემული ან დისპეტჩირებული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$pE_{(t-1)}$ – ქსელში გაცემული, გადაცემული ან დისპეტჩირებული ელექტროენერგიის დაგეგმილი რაოდენობა (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$T_{(t-1)}$ – ტარიფი (t-1) პერიოდისთვის (ლარი);

$WACC$ – დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც WACC-ის ტოლია (%).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კორექტირების მექანიზმი ვრცელდება იმ თბოელექტროსადგურის მიერ ქსელში გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობაზე, რომელიც არ წარმოადგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს.

3. კომისიის მიერ არ გაითვალისწინება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კორექტირების მექანიზმი, თუ ქსელში გაცემული და გადაცემული ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობის დანაკლისი დაგეგმილთან მიმართებაში გამოწვეულია საწარმოს მიზეზით.

4. ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის იმ რაოდენობის კორექტირებისას, რომელზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფის დარიცხვა, კომისიის მიერ არ გაითვალისწინება დროში ფულის ღირებულების განაკვეთი და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cRev_{(t+1)} = (aE_{(t-1)} - pE_{(t-1)}) \times T_{(t-1)} \quad (20)$$

თავი V. ტარიფების დადგენისა და განაცხადის წარდგენის პროცედურები

მუხლი 22. აღრიცხვა-ანგარიშგება

1. რეგულირების მიზნებისთვის საწარმო ვალდებულია, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს კომისიის მიერ დამტკიცებული ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თუ საწარმო ეწევა ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას და, ამასთან, ეწევა არარეგულირებად საქმიანობასაც, იგი ვალდებულია, თითოეულ რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯებისა და საფინანსო შედეგების აღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად.

3. საწარმომ მომხმარებლის ფინანსური წყაროებით შექმნილი ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს განცალკევებულად, ამ მეთოდოლოგიის პირობების შესაბამისად.

მუხლი 23. ტარიფის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ტარიფის დადგენის მიზნით საწარმო ვალდებულია ტარიფის გაანგარიშების წლისთვის კომისიაში წარმოადგინოს სატარიფო განაცხადი.
2. სატარიფო განაცხადისა და მონაცემთა ფორმები, აგრეთვე სატარიფო განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება კომისიის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. სატარიფო განაცხადთან ერთად საწარმომ ასევე უნდა წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) საბუღალტრო ბალანსი;
 - ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგება;
 - გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.
4. კომისია უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
5. სატარიფო განაცხადისა და მასზე დართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სატარიფო განაცხადის წარმომდგენს.

მუხლი 24. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. საწარმო ვალდებულია კომისიაში სატარიფო განაცხადი წარადგინოს არსებული ტარიფის მოქმედების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 150 დღისა.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არა უმეტეს 45 დღისა. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საწარმო კომისიაში არ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად. ამასთან, თუ განუხილველად დატოვებული სატარიფო განაცხადი წარდგენილი იყო კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე, საწარმოს შეიძლება დაეკისროს კანონით გათვალისწინებული სანქცია.

5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს საწარმოს ტარიფებს. ამ შემთხვევაში, საწარმოს მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე.
7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა, აგრეთვე კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის.
8. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები.
9. სატარიფო განაცხადთან დაკავშირებული მოსაზრებები წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას. ამასთან, პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა, წარმოდგენილი მოსაზრებების ასლი უნდა გაეგზავნოს სატარიფო განაცხადის წარმდგენს, ხოლო მოსაზრებები განიხილება სატარიფო განაცხადის საჯარო განხილვისას.
10. სატარიფო განაცხადის განხილვის პროცესში, კომისია უფლებამოსილია საწარმოსგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის ან სხვადასხვა სახის დასკვნის წარდგენა.
11. სატარიფო განაცხადის განხილვისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები აღნიშნულ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით.
12. განმცხადებელს 7 სამუშაო დღით ადრე უნდა ეცნობოს სატარიფო განაცხადის საჯარო სხდომაზე განხილვის დრო და ადგილი.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 25. გარდამავალი დებულება

1. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ქვემოთ მოცემული კომპონენტების სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- | | |
|---|----------|
| ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) | – 7.50%; |
| გ) სესხის პრემია (DP) | – 3.50%; |
| დ) ბაზრის რისკის პრემია ($r_m - r_{rf}$) | – 7.25%; |

ე) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 1.00


2. იმ საწარმოსთვის, რომელსაც კომისიის მიერ ტარიფები დადგენილი აქვს 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ამ მეთოდოლოგიით ტარიფები დგინდება 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3. წინამდებარე მეთოდოლოგიის IV თავით გათვალისწინებული კორექტირებები განხორციელდება 2016 წლიდან (გარდა მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგებით კორექტირებისა) ყოველწლიურად.

დანართი №1

დანახარჯების კასკადირების მეთოდი

ხარჯების სხვადასხვა ძაბვის საფეხურის მომხმარებლებზე მიკუთვნების (ალოკაციის) კასკადირების მექანიზმი (რაც წარმოადგენს ხარჯების ალოკაციის მეორე ეტაპს), ძაბვის საფეხურებზე ენერგიის მოხმარებაზე დაყრდნობით:



G_1 - პირველ საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G_2 - მეორე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

G_3 - მესამე საფეხურზე გენერაციიდან მიწოდებული ენერგია;

L_1 - პირველ საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L_2 - მეორე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

L_3 - მესამე საფეხურზე მთლიანი დანაკარგები;

C_{11} - პირველ საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (პირველ საფეხურზე მოხმარება);

C_{12} - პირველი საფეხურიდან მეორეზე გაცემული ენერგია;

$C_1 = C_{11} + C_{12}$, პირველი საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია ($G_1 - L_1$);

C_{22} - მეორე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მეორე საფეხურზე მოხმარება);

C_{23} - მეორე საფეხურიდან მესამეზე გაცემული ენერგია;

$C_2 = C_{22} + C_{23}$, მეორე საფეხურიდან გაცემული მთლიანი ენერგია ($G_2 + C_{12} - L_2$);

C_{33} - მესამე საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ენერგია (მესამე საფეხურზე მოხმარება);

$S_{11} = C_{11} / C_1$ პირველი საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S_{22} = C_{22} / C_2$ მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში;

$S_{33} = C_{33} / C_3$ მესამე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

ხარჯების ძაბვის საფეხურის მიხედვით მიკუთვნების (ალოკაციის) მექანიზმი ეყრდნობა ცალკეულ ძაბვის საფეხურზე ენერგიის მოხმარებებს.

$$S_1 = S_{11} \times \text{Cost}_1,$$

პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი განისაზღვრება, როგორც პირველი საფეხურის ხარჯების (Cost_1) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელი წილი, ანუ S_{11} კოეფიციენტი მრავლდება პირველ საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე.

$$S_2 = S_{22} \times \text{Cost}_2 + S_{22} \times ((1 - S_{11}) \times \text{Cost}_1),$$

მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნებული წილი შედგება ორი კომპონენტისაგან:

პირველი მათგანი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების ($Cost_2$) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს, ანუ S_{22} კოეფიციენტი მრავლდება მეორე საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე;

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების ($Cost_1$) მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნებელი) წილი, რომლიდანაც მეორე საფეხურს მიეკუთვნება ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მეორე საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიის წილს ამავე საფეხურიდან გაცემულ მთლიან ენერგიაში.

$$S_3 = S_{33} \times Cost_3 + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times Cost_2) + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times (1 - S_{11}) \times Cost_1),$$

მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის დანაკარგების ღირებულების (და სხვა ხარჯების) მიკუთვნების კოეფიციენტი შედგება სამი კომპონენტისაგან.

პირველი მათგანი განსაზღვრავს მესამე საფეხურის ხარჯების ($Cost_3$) ამავე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს, ანუ S_{33} (ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს 100%-ს) კოეფიციენტი მრავლდება მესამე საფეხურზე მიკუთვნებულ ხარჯზე.

მეორე კომპონენტი განსაზღვრავს მეორე საფეხურის ხარჯების ($Cost_2$) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს და წარმოადგენს მეორე საფეხურის ხარჯების ნარჩენ (მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნებელ) წილს, რომლის მთლიანად მიკუთვნება ხდება მესამე საფეხურზე (რადგან $S_{33} = 100\%$).

მესამე კომპონენტი განსაზღვრავს პირველი საფეხურის ხარჯების ($Cost_1$) მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელ წილს. ამისათვის აღებულია პირველი საფეხურის ხარჯების ნარჩენი (პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მიუკუთვნებელი) წილი, რომლიდანაც მესამე საფეხურის მომხმარებლებს მიეკუთვნება ის ნაწილი, რომლის მიკუთვნებაც არ მოხდა მეორე საფეხურის მომხმარებლებისათვის.

იმის დასადგენად, თუ რა რაოდენობის ენერგია გაიცემა ჯამში თითოეული ძაბვის საფეხურიდან (C_1 , C_2 და C_3), საჭიროა მთლიანი დანაკარგების ცოდნა ძაბვის საფეხურების მიხედვით (L_1 , L_2 და

13). იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკარგების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ჯამურია და მისი ჩაშლა ძაბვის საფეხურების მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი, დანაკარგების გადანაწილებას ძაბვის საფეხურებზე კომისია მოახდენს ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, მაქსიმალურად შესაძლო მიახლოებით.

**სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი
აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები**

1. სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების მიერ 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ შექმნილ ან/და შეძენილ აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის შემდეგი ნორმები:

I	საერთო აქტივები	ცვეთა/ამორტიზაციის წლიური ნორმა (%)	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
1	სატრანსპორტო ნაგებობები	3.3	30
2	საოპერაციო შენობები	1.8	55
3	ადმინისტრაციული შენობები	1.5	65
4	ქვესადგურის შენობა	2.2	45
5	სასაწყობო ფართი	5.0	20
6	ავეჯი და მოძრავი ინვენტარი	10.0	10
7	კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	20.0	5
8	ინსტრუმენტები / მოწყობილობები	10.0	10
9	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	12.5	8
10	მძიმე სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური ტექნიკა	8.3	12
11	არამატერიალური აქტივები	20.0	5

II	სადგურები	ცვეთა/ამორტიზაციის წლიური ნორმა (%)	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
12	თბოელექტროსადგურები		
12.1	კონდენსაციური ელექტროსადგურები	4.0	25
12.1.1	თბოტექნიკური ნაწილი	4.0	25
12.2	გაზოტურბინა	3.3	30

12.3	დამხმარე მოწყობილობები (წყლის მომზადება, სათბობის მომზადება და სხვა)	4.0	25
12.4	გარემოს დაცვითი აღჭურვილობა	6.7	15
12.5	ნაგებობები (საკვამლე მიწები, შხეფ-საცივრები, სათბობის საცავები და ა.შ.)	2.2	45
13	ჰიდროელექტროსადგური		
13.1	მაკუმულირებელი სტრუქტურები	1.7	60
12.2	კაშხალი, სათავე, სადერივაციო და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები	2.2	45
12.3	ჰიდროელექტროსადგურის სხვა მოწყობილობები და აღჭურვილობა	3.3	30
14	ქარის ელექტროსადგურები	4.0	25
15	მზის ელექტროსადგური	4.0	25
16	ძაღოვანი აგრეგატები	4.0	25
17	დამცავი, გამზომი მოწყობილობები დისტანციური მართვის, ტელეკომუნიკაციის, ტელეგამზომი და ავტომატური მოწყობილობები	4.0	25
18	ელექტროსადგურის ძაღოვანი მოწყობილობები, მათ შორის, ტრანსფორმატორები, საკომუტაციო და გამანაწილებელი მოწყობილობები	2.2	45
19	სადგურის სხვა ელექტრო მოწყობილობები	4.0	25

III	ქსელის კომპონენტები	ცვეთა/ამორტიზაციის წლიური ნორმა (%)	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
20.1	საჰაერო ხაზები (500 - 400 - 330 - 220 - 110 კვ)	2.2	45
20.2	ქვესადგურის ძაღოვანი მოწყობილობები, მათ შორის, ტრანსფორმატორები, საკომუტაციო და გამანაწილებელი მოწყობილობები	2.5	40
20.3	დამცავი, გამზომი მოწყობილობები და გადამაბვისაგან დაცვა. დისტანციური მართვის, ტელეკომუნიკაციის, ტელეგამზომი და ავტომატური მოწყობილობები	4.0	25
20.4	სხვა	4.0	25
21	35 – 10 – 6 – 3.3 კვ		

21.1	საჰაერო ხაზები (35 – 10 – 6 – 3,3 კვ)	2.9	35
21.2	მიწისქვეშა ხაზები (35 – 10 – 6 – 3,3 კვ)	2.5	40
21.3	საშუალო ძაბვის ქვესადგურების ძალოვანი მოწყობილობები, მათ შორის, ტრანსფორმატორები, საკომუტაციო და გამანაწილებელი მოწყობილობები	2.9	35
21.4	დამცავი, გამზომი მოწყობილობები და გადამაბვისაგან დაცვა. დისტანციური მართვის, ტელეკომუნიკაციის, ტელეგამზომი და ავტომატური მოწყობილობები	4.0	25
22	1 კვ–მდე		
22.1	საჰაერო ხაზები (1 კვ–მდე)	2.9	35
22.2	მიწისქვეშა ხაზები (1 კვ–მდე)	2.5	40
22.3	დამცავი, გამზომი მოწყობილობები და გადამაბვისაგან დაცვა. დისტანციური მართვის, ტელეკომუნიკაციის, ტელეგამზომი და ავტომატური მოწყობილობები	2.9	35
23	მრიცხველები	5.0	20
24	გარდამსახები, მუდმივი დენის ჩანართები, საკომპენსაციო მოწყობილობები	4.0	25
25	სატელეფონო ხაზები	2.9	35
26	სტაციონარული ამწე მოწყობილობა, სატვირთო ლიფტები, გარე განათება და სხვა დამხმარე მოწყობილობები	3.3	30